# იმერეთი

**ფასი**: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**სამშაბათი 15 ივლისი**

**მისამართი**: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 105 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 105



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „ი მ ე რ ე თ ი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| | | |
|---|---|---|
| **გაზეთის ფასი:** | ერთი წლით | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთითაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.


თავადი გიორგი ალმასხანის ძე, ძენი მისნი: ექიმი ასლანი, ინჟინერი ბიკტორი, ალექსანდრე, ჯიუ, რძლებით: კნ. სარრა, ანნა პასიკო გელოვანები, ქალიშვილები: კნ. ელენტია ჩიჩუასი და დოსია ჩიქოვანისა ქმრებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი და უკანასკნელნი ძვირფასი დედის და მესამენი დაუვიწყარი დედამთილის კნეინა

**ეკატერინა ნიკოლოზ ყიფიანის**

ასულის გადაცვალებას, რომლის გამოსვენებაც დანიშნულია ოთხშაბათს, 16 ივლისს, საკუთარ სახლიდან სოფ. სპათაგორში, ლეჩხ. მაზრა. დასაფლავება სოფ. ახალქალას საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 6 საათზე.

---

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები, თავისი საყვარელი ქალის

**ქსენია სოლომონის ასულის ოსიმის**

ტრაღიკულათ დაკარგვის გამო, თავის გულწრფელ მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც წერილით, დეპეშით და თავისი დასწრებით პატივი სცა და ანუგეშა ისინი.

---

ალექსი პეტრეს ძე მოგელაძე და მეუღლე მისი სადიკო სიმონის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 15 ივლისს, პეტრე-პავლეს ეკლესიაში, საღამოს 5 საათზე, გადახდილ იქნება ნახევარი წლის თავის პანაშვიდი დაუვიწყარი ქალიშვილის

**მ ა რ უ ს ი ა ს**

სულის მოსახსენებლათ.

---

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **მ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტი. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი**

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## ქ უ თ ა ი ს შ ი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

---

## მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ქორქოლაძეების

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო  ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

---

## თ უ თ ხ მ ე ტ  მ ა ი ს ი დ ა ნ  გ ა ი ხ ს ნ ა
კურსების მადნეული წყლის
## ა ბ ა ნ ო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს  ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

---

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

---

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. ათთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი**: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, დ სიფილისისა) **იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

**ხოშტოლავასი.**

---

## ვაჭარ-მრეწველთა მომავალი კავშირი.

ვინც ჩვენს ცხოვრებას დაუკვირდება ფხიზელი გონების თვალით და მოისურვებს ანგარიში გაუწიოს ჩვენს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ურთიერთობას, ის უსათუოთ მიეცემა გულმოკლული და ხახა-გამშრალი იმ ჩუმსა და ნაღვლიან სევდას, რომელიც შეუმჩნევლათ გულსაც უფრო მძლავრათ ღრღნის და სულსაც უფრო ძლიერათ აღშფოთებს. ბუნებრივის, თითქმის, ბრმა სტიქიონის ჩარჩოებში წამოზდილი ქართული ეკონომიკა ყველაზე უფრო ახლა საჭიროებს მომწესრიგებელს, ნიჭიერი ორგანიზატორის ცხოველმყოფელ ხელს, მით უფრო რომ, საქართველოს ბედ-იღბლიანობის მატარებელი და ახალი კულტურის ამაღორძინებელი წოდება თუ კლასი, რომლის წარმოშობა-განვითარებაც დასავლეთ-ევროპიულ ერთა და სახელმწიფოთა სულიერათ გარდაქმნას და ამისთვის ახალ კულტურის ნიადაგზე დაყენებას მოასწავებდა—მოქალაქეთა წრე, ჯერჯერობით ფრიად სუსტი და თვით შეგნებასაც მოკლებულია; მოქალაქობრივობის განმავითარებელი იარაღი უწინარეს ყოვლისა ვაჭრობა-მრეწველობაა, ხოლო ეს უკანასკნელი—მცირედი გამოკლებით—სულ გონივრულათ მოუმზადებელთა და უმეტეს ნაწილათ შეუგნებელ ხალხის ხელშია, რომელნიც მხოლოდ 30—40 წლის [illegible] ნავ გამოცდილებას და იმით ხელმძღვანელობენ თავის საქმეებს, თავის კერძო „მე“-ს, ვიწრო ინტერესებთა რგოლს, ისინი ვერ სცილდებიან და ისეთი უბრალო საქმეც კი, როგორიც არის ვაჭრობისა თუ მრეწველობის ერთ-ერთი მიჩნეული დარგის მწარმოებელთა შეერთება, მათი წარმოების საერთო ინტერესების თვალთაზრისით მოწესრიგება—ასეთი უბრალო საქმეც კი ჩვენში უძნელეს საქმეთაა გადაქცეული.

საქმის ასეთი მდგომარეობით, რასაკვირველია, სარგებლობს უცხოელების კონკურენცია; უცხოელი კაპიტალისტნი მზათ არიან ყველა თვალსაჩინო წარმოება ჩვენში ხელთ ჩაიგდონ, ჩვენი მდიდარი ბუნების ძალთა ექსპლოატაცია სრულებით ჩამოგვართვან და ჩვენ კი უბრალო ბოგანო მუშებათ გაგვხადონ. ვაჭრობა-მრეწველობის ასეთი მოუწესრიგებელი მდგომარეობით ვერც სასოფლო მეურნეობა ვითარდება ახალი ტეხნიკის მიხედვით. მეურნეობის გაუვითარებლობა-კი მიზეზია იმის, რომ სოფლის სიღატაკე და მამულების გაყიდვა ასე ხშირ მოვლენათ გადიქცა დღეს. მოსახლეობისაგან და სათანადო კულტურისაგან თავისუფალ ადგილთა სიმრავლით სარგებლობს იმპერიალისტური პოლიტიკისათვის რუსის მთავრობა და ქმნის ისეთ ისტორიებს, როგორც ამ ბოლო დროს იყო მაგ. ტირიფონის ველის ალიაქოთი. ასეთი ერთმანეთის მიმდევნო საფრთხენი გულს უტეხენ ქართველ მწარმოებელს, უღვიძებენ უძლურობის ინსტინქტს, რის გამოც ქართველობა, ქართული საქმიანობა მუდამ ფერმიღეულისა და უიმედობის მცნებაა მწარმოებელთათვის: „ძალა სხვის ხელშია“! აი მათი პასუხი. მათი ლტოლვილებაც უნებლიეთ იქით არის მიმართული, სადაც ეს „ძალა“ ეგულვებათ, და ვისთანაც ამ „ძალას“ ხედვენ: მოწიწება უცხოელებისადმი და გულგრილობა ქართველობისადმი თითქმის კანონათაა გადაქცეული ჩვენს საზოგადოებაში.

რადგანაც ქართველობა ირეკება ყველა დიდი საქმიდან, ეცლება სავარჯიშო თვით ქართულ აზროვნებასა და ენასაც; რადგან ამ უკანასკნელთა ამაღორძინებელი ნიადაგი სწორეთ ქართული საქმიანობაა, ეს უკანასკნელი კი ჯერჯერობით ძალზე

შევიწროებულია უცხოელთა მიერ; სკოლები-კი, რაც უნდა ქართველური იყოს იგინი, გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მიიღებენ, ვინაიდან სკოლების სიმრავლე, მათი ჯეროვანათ მოწყობა და საპედაგოგიო ძალებით აღჭურვა ისევ ერის ქონებრივათ სიმძლავრეს, ე. ი. ეროვნულ ეკონომიკის განვითარებას თხოულობს და მეორე ის, რომ ნამდვილ ქართულათ დაყენებულ სკოლებშიც ვერ შევქმნით ქართველობას და ვერ მივსცემთ საჭირო განვითარებას ქართულ ენასა და მწერლობას, თუ ეს არსებულს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების მოთხოვნილებას არ შეადგენს. ქართული უნდა იყოს არსებითი საჭიროება ყველა დაწყობილებასა და საქმიანობაში, რომ ენაც შეივსოს ახალი ტერმინებით, გამარტივდეს გამოთქმათა და წინადადებათა წყობილობით და ამასთანავე ქართულმა აზროვნებამაც მიიპოვოს წმინდა ეროვნული ნიადაგი.

დიახ, სწორეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის გაუვითარებლობაა თმთავრესი მიზეზი ყველა ჩვენი გასაჭირისა და საფრთხისათვის! ამისათვის მიუცილებელი საჭეროებაა, ქართველი ერისა და მისი მომავლისათვის ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებმა სწორეთ ამ დედა-ძარღვს მიაქციონ ყურადღება! ვისაც ნამდვილათ შესტკივა გული თავისი წარსულშიც მრავალტანჯულისა და აწმყოშიც განსაცდელის მორევში მცურავ ერისადმი, ვისაც მართლა წრფელი გრძნობები ამოძრავებს მის საზოგადო-ეროვნულ მოღვაწეობაში— ის უსათუოთ შეეცდება, უნივერსალურ ისტორიაში მიმოხედვით, რაიმე რეალური გამოსავალი მონახოს, შექმნას მოქალაქობრივობის (ცივილიზაცია) და მოქალაქეთა წრის (ბურჟუაზია) გამაძლიერებელ-ამაყვავებელი იარაღი, რომ ამით ქართველი მოაქციოს იმ მსოფლიო ურთიერთობის ნამდვილ ფერხულში, სადაც პასივობა ერის სიკვდილის დასაწყისია, ხოლო აქტივობა გამარჯვების ნიშანი.

ვაჭრობა-მრეწველობის საღ ნიადაგზე მოწყობა, მისი შესაფერი ორგანიზაცია — გაძლიერებაა ჩვენი ბურჟუაზიისა, რომლის თვითშეგნება, თვითშეგნებული მუშაობა და საქმიანობაც—ჩვენი ცივილიზაციის აყვავებაა. titus.

(შემდეგი იქნება).

## მცირე განმარტება.

გაზ. „ზაკავკაზ. რეჩის“ 13 ივლისის ნუმერში წავიკითხეთ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორად ილარიონ ლორთქიფანიძე აირჩიესო, თუმცა, ნამდვილად, ახლანდელი დირექტორი ი. ოცხელი და მისი თანაშემწე, ს. ხუნდაძე, როგორც თავად-აზნაურობისა, აგრეთვე მასწავლებელთა კორპორაციისა და მთელი საზოგადოების სურვილის თანახმად, თავის ადგილზედვე რჩებიან.

ჩანს, კორესპონდენტი სანდო, სარწმუნო კაცად მიაჩნია გაზეთს, ასე ადვილად, შეუმოწმებლად რომ დაუჯერებია მისი სიტყვისათვის. და, იმედია, ამას იქით მაინც გაუფრთხილდება.

მაგრამ, საკვირველია, რისთვის დასჭირდა კორესპონდენტს ამ ჭორის შეთხზვა? უნდა შეაცდინოს ვინმე მოტყუებით? თუ გულმა აღარ მოუთმინა და ნატვრა სინამდვილედ მოაჩვენა?

როდის იქნება, რომ განვითავისუფლებთ თავს ერთმანეთისადმი შურისა, მტრობისა და გულღვარძლიანობისაგან! დროა, გონს მოვიდეთ და პირად თავმოყვარეობასა ან კერძო მიზანზე უფრო საზოგადო საქმე შევიყვაროთ. თვარა,— არაფერი არ არის ერისთვის ისე საშიშარი, როგორც ზნეობრივი სნეულება!

იმედია, გაზ. უარყოფს ამ ჭორს.

ვასილ წერეთელი.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

✦ ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის გადასაცემათ ჩვენს რედაქციას ს. თერჯოლის მამასახლისმა დავ. მემანიშვილმა ხუთშაურიანი თათრული ფული, ნაპოვნი სოფელ თერჯოლაშივე, გადმოსცა.

✦ შაბათს, თორმეტ ივლისს, მარელისელმა გლეხმა ჩვენს რედაქციაში შემოიტანა ერთი გირვანქა თათრული ვერცხლის ფული: ორ მანეთიანი, მანეთიანი, ათშაურიანი, ხუთშაურიანი და შაურიანი, ნაპოვნი ვახის ნანგრევებში ქოთნით შენახული. იგი ამ ფულს სამ თუმნათ აფასებდა.

✦ შაბათს, თორმეტ ივლისს, დილის მატარებლით გაემგზავრა ახალგაზდა მწერლებისა და მსახიობთა ჯგუფი სოფლებში სალიტერატურო — დრამატიულ საღამოების გასამართავათ.

✦ შორაპნის მაზრაში დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა სიმინდი შემდეგ სოფლებში დაარიგა: დ. ყვირილაში ს. ზედა და ქვედა საქარაში, დილიკაურში, ზოვრეთში, კიცხში, ილემში, შორაპანში, ვარძიაში, ალისუბანში, ბოსლევში, კიკნაველეთში წიფაში და სხვაგან.

✦ როგორც გუშინწინ გამოცხადებული გვქონდა „ღულაძისსეულ მოედანთან“ იხსნება წიგნსაცავ-სამკითხველო სახალხო მასწავლებლის ვლადიმერ ქრისტეფორეს ძის ნაცვლიშვილის ჰასუხისმგებლობით.

✦ ჩვენმა რედაქციამ „სასოფლო გაზეთის“ მორიგი ნუმერი მიიღო. ამ ნუმერთან ერთად ცარიგდა „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა თამბაქო და მაგარი სასმელები ბროშიურა ივ. გომართლისა.

✦ 10 ივლისს ნორმალური დასვენების კომისიის წევრმა მესხიშვილმა ორპირის ქუჩაზე ნორმალური წესის დარღვევისათვის შემდეგ მედუქნეებს ოქმი შეუდგინა: არ. ნარსიას, მ. ფ. შენგელიას, სპ. ნადირაძეს, რ. ფხაკაძეს მათ. კოსტავას, ერ. მოსიავას, ივ. კიკნაძეს, და ივ. ჯულაყიძეს.

✦ როგორც სადგურ ღაშიდან გვატყობინებენ (შორაპნის მაზრა), 13 ივლისს ღამით, როცა თფილისიდან — ბათომისკენ მომავალი მატარებელი სადგურ ღაშეზე მოვიდა - -ერთი ვიღაც უცნობი მატარებლიდან გადმოხტა. ეს შენიშნა ბელაგორის ბოქაულმა ესაძემ, რომელმაც იქვე დააკავა. პოლიციამ შენიშნა, რომ მატარებელში სხვებიც იყვნენ. მატარებელში, მართლაც, აღმოჩნდა ორი საეჭვო პირი. გაჩხრიკეს. მათ აღმოაჩნდათ მაუზერის რევოლვერები. გამოირკვა, რომ ისინი ცნობილი ყაჩაღები: მარჯანიშვილი, კუპრაშვილი და მესამე ვიღაც უცნობი ყოფილან მათ თურმე რიჟინაშვილის გატაცებაშიც ქონიათ მონაწილეობა.

✦ გუშინ ქ. ასტრახანში ეტაპით გაგზავნეს გაზ. „აზრის“ კანტორის გამგე ნ. ჯანელიძე. იგი სამი წლით არის გადასახლებული.

✦ გუშინ დ. ჭიათურიდან სამხრეთ-რუსეთში გაემგზავრა სამთო — საქარხნო სასწავლებელის კურსდასრულებულნი თავის ხელმძღვანელებით. ისინი გზაზე ბაქოში გაივლიან, სადაც რამდენსამე დღეს შეჩერდებიან.

✦ 19 ივლისს, ჭიათრაში სტ. აკაკი ტყემლაძე მეორეთ წაიკითხავს თავის ლექციას „ქალთა საკითხზე“.

✦ ქალაქის გამგეობამ ქუთაისის სადგურის გამგეობას აცნობა, დაიცვას სადგურის მახლობლათ სანიტარული წესი.

✦ ჩვენი გაზეთის № 10-ში შეცდომით მოთავსებულია ცნობა ამა 20 ივლისისათვის სოფ. ხრესილში ადგილობრივ წიგნ. საც. სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენის გამართვის შესახებ.

განზრახვაა ამ ახლო მომავალში გაიმართოს წარმოდგენა აღნიშნულ მიზნისათვის, მხოლოდ ამის შესახებ დანამდვილებით ცნობა ამავე გაზეთის ერთ-ერთ ნუმერში იქნება გამოცხადებული.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა მწვანე ბაზარში მოიჯარადრე „მებუტკეები“, საიჯარო გადასახადის შემოუტანლობისათვის ბუტკებიდან განდევნოს.

✦ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ 50 მანეთი დააჯარიმა ცოცხალი საქონლით ვაჭრობისათვის: ნესტორ ჯღარკავა, იაკობ და ნიკო ნოდიები.

✦ ქუთაისის „ლაზარეთში“, როგორც ექიმი ატყობიებს ქალაქის გამგეობას, „ციმბირის ჭირი“ გაჩენილა.

✦ 5 ივლისიდან ქუთაისის საოლქო სასამართლოს ნაფიც ვექილთა თანაშემწეთ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდასრულებული ე. არდიშვილი ჩაირიცხა.

✦ ქალაქის გამგეობამ პოლიციელებს დაავალა, რომ თვალყური ადევნონ ნორმალური დასვენების სავალდებულო დადგენილებას.

### მოწერილი ამბავი.

**დ. ყვირილა** პარასკევს, 11 ივლისს, ბ-ნ ძ. ლოლუას ლოტბარობით გაიმართა ქართული კონცერტი. მისი სიმღერებიდან ნათლად ჩანს, რომ დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს ამ დიადი საქმის დაგვირგვინებისათვის. საუცხოოთ შეასრულეს ქართულ-მეგრული სიმღერები, რამაც მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ბევრი სიმღერა გაამეორებიეს კარგი იყო აგრეთვე „დაიგვიანეს“ პატარა კახიდან ლოლუას მიერ შესრულებული. დასასრულ გამართეს მეგრული ფერხული და ნადური მეგრელების ყანის მარგვლის დროს. კარგი იყო აგრეთვე გურული სცენები წაკითხული ანჯაფარიძის მიერ. ერთი სიტყვით, პროგრამმა ძალიან რთული და შინაარსიანი გამოდგა. სასურველია, რომ ხალხი უფრო მეტის თანაგრძნობით მოეკიდოს ამ დიად საქმეს და ამით ხელი შეუწყოს მის აღორძინებას. ხალხი ძალიან ნასიამოვნები დარჩა. მომღერალთა გუნდი აქიდან ჭიათურას გაემგზავრა.

შალიკო.

# თფილისი

საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი სამარიდან თფილისის გამოემგზავრება 15 ივლისს.

— ფრენა. ცნობილი მფრინავნი ა. ვასილიევი და ა. კუზმინსკი ამ დღეებში კავკავიდან თფილისს აპირობენ გადმოფრენას.

— სიონის საკათედრო ტაძრის გალავანის ეზოს გაფართოვებას აგვისტოს შუა რიცხვებიდან შეუდგებიან.

— ტელეფონი. თფილისიდან გლდანში, სადაც საავგარაკოთ იმყოფება მეფის მოადგილის თანაშემწე გოფმეისტერი ნ. ლ. პეტერსონი, ტელეფონი გაიყვანეს.

— მესიდობა. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ, წელს ბორჯომის ხეობაში ხეხილები დიდად დაუზარალებია ზამთრის სიცივეს და გაზაფხულის სიცივეებს.

ჯილდოები სოფლის მეურნეებს. რომანოვთა გვარეულობის სამასი წლის მეფობის აღსანიშნავათ 1916 წელს მიწ. მოქმედების დეპარტამენტი ჯილდოებს დაურიგებს იმ წვრილ მეურნეებს, რომელთაც თავისი მეურნეობა სამაგალითოდ აქვთ მოწყობილი. კავკასიაში დაარიგებს 15,000 მან. ჯილდოს.

საქართველოს საეგზარხოსოს რევიზია. გაზეთ „რეჩი“-ს სიტყვით, საქართველოს ახალმა ეგზარხოსმა პიტირიმმა სურვილი გამოსთქვა, რომ განსვენებულ ეგზარხოსის ალექსის მდივნის თავის მოკვლის განზრახვის გამო, სინოდმა საეგზარხოსო რევიზია დანიშნოს. როგორც ამბობენ, სინოდი ჰფიქრობს, კავკასიაში საგანგებო მოხელე გამოგზავნოს საეგზარხოსო საქმეების მდგომარეობის გასაცნობათ.

— ახალი სკოლა. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ მას სიღნაღში ქართული სკოლა დააარსოს. ამის გამო სახალხო სკოლების დირექტორმა გამგეობას მოსთხოვა მომავალი სკოლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

## ბიბლიოგრაფია.

**ს. დარიანი: საქართველო 1905 წლის შემდეგ.** (Грузія послѣ 1905 года) რუსულად დაწერილი. ქუთაისი, 1914 წ.*).

ეს არის ახლა გადავიკითხე ეს ჩინებული წიგნაკი (სულ 50 გვერდია). ეტყობა ავტორი ღრმად ჩაჰკვირვებია ჩვენ ცხოვრებას და დიდის სიხარულითაც ეგებება იმ წარმატებას, რომელსაც დაადგა საქართველო 1905 წ. შემდეგ.

აგერ ათი წელიწადი სრულდება, რაც საქართველო, რუსეთთან ერთად, ჩაება ახალ ცხოვრებაში. აწონ-დაწონვა ამ ცხოვრებისა, ღვაწლი და ამაგი, თუ გატაკება და შეცდომები იმ დასებისა, რომელიც წინ უძღოდენ ქართველ ხალხს უკანასკნელ მოძრაობის დროს, არც ესე ადვილი ასაწერია, ვინაიდან ჩვენი ცხოვრება ჯერ არ დადუღებულა და მაშასადამე, ჯერ დანამდვილებით ვერ ითქმის რა ავნო, ან რა სარგებლობა მოუტანა ამა თუ იმ მოძღვრებამ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ის კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი, ქართველი მშრომელი მასსა უკვე შესდგა პროგრესის გზაზე. ეს გზა თავისებური, ხალხოსნურია, ეს გზა დასახულია თვით ერისაგან და თუმცა ქართველი ერი წარსულ

*) ბ-ნი დარიანი ალბათ ახლად გამოდის მწერლობის ასპარეზზე. იგი სრულიად უცნობია ჩვენის მწერლობისთვის. მკ.

## მიზეზი ჩვენი უესთეტობისა.

(გრ. რობაქიძის ლექციის გამო).

პატივცემულმა ლექტორმა გრ. რობაქიძემ თანამედროვე ჩვენი ქართველობა ძლიერ მწვავეთ გაკიცხა და დაგმო, როგორც მოკლებული ყოველგვარ ესთეტიურ განცდასა და ხელოვნურ ნაწარმოების დაფასების უნარს.

ხალხი ცოტა არ იყოს აიმრიზა, შეჩქროლდა და თითქმის ყველა რედაქციამ თავისი უკმაყოფილება გამოსთქვა ასეთგვარი „თავხედობისთვის“. ასეთი უკმაყოფილება ლოღიკური შედეგია იმ პირველი საერთო აღფრთოვანებისა და სიხარულისა, რომელიც გედევანიშვილის „სინათლემ“ აგრძნობია ჩვენს საზოგადოებას.

ვინ არის მართალი, უნებურად ეკითხები შენს თავს, საზოგადოება თუ გრ. რობაქიძე? პირველი შეხედვით სწორედ რომ საკვირველია, საზოგადოებას მოსწონს, შეხარის და გულში იხუტებს „სინათლეს“, იგი მზად არის გამუდმებული უცქიროს და დასტკბეს „დიადი“ ნაწარმოებით.

ლექტორი კი გამოსულა და მიწასთან ასწორებს, იგი პატეტიურად შესძახის საზოგადოებას, შენ შემცდარი ხარ, შენ არ შეგიძლია დააფასო და განიცადო ნამდვილი ესთეტიური ნაწარმოებიო! გედევანიშვილის „სინათლე“ „კინემატოგრაფის ლენტისთვის თუ გამოდგებაო“. და შენ გულში ცოტა არ იყოს უკმაყოფილების სურვილი იბადება ლექტორისადმი. მაგრამ თუ ჩვენ ცოტა შელახულ თავმოყვარეობას დავიმშვიდებთ და კარგად ჩავუკვირდებით ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობა,—ლექტორი მართალია.

გრ. რობაქიძე შეეხო ისეთ საკითხს, რომელიც ჩვენთვის ღრმა მნიშვნელოვანი და ჩასაფიქრებელია: ჩვენი ესთეტიური ალღოს უქონლობა შედეგია იმ მიზეზისა, რომელიც გაჭიმულია მთელი მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის სივრცეზე.

ნაზი ესთეტი და ძლიერი კრიტიკული ალღოს მქონე ოსკარ-უალდი სწერს: „ნაწარმოები ხელოვნებისა არის ინდივიდუალური ნაყოფი, ინდივიდუალურ ტემპერამენტისა; სილამაზე მისი გამოწვეულია მით, რომ შემოქმედი იყო ის, რაც არის. მას არავითარი საქმე არა აქვს მასთან, თუ სხვას რა უნდა და ან რაში საჭიროებს“.

„ხელოვნება არის ძლიერი ნაყოფი ინდივიდუალობისა, რომელიც კი მსოფლიოს სცოდნია“.

ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ ჩვენს ცხოვრებას სწორედ რომ სავალალო სიმპტომებს, დავინახავთ. არსად არ არის პიროვნება შეზღუდული გარეშე ძალისაგან ისე ძლიერ როგორც ჩვენშია. აქ პიროვნება მონაა საზოგადოებრივი აზრისა, მონაა თვისი მსოფლმხედველობისა, მონაა რომელიმე პარტიისა და მონაა რედაქციისაც; გასაქანი ადგილი მას არსაით აქვს, იგი მომწყვდეულია თავის ქერქში და ჭეშმარიტად ასეთი პიროვნება ძვირად თუ შექმნის ძლიერ ესთეტიურ ნაწარმოებს.

-- გაბედულად შემიძლია ვსთქვა, რომ მთელი ჩვენი მეცხრამეტე საუკ. მწერლობა მონურ დაღს ატარებს, მან არ იცის სილაღე და შეუპოვრობა სულისა, რომელიც აუცილებელია ყოველი შემოქმედისთვის.

ძლიერი დამოუკიდებელი პიროვნების ღაღადისი ჩვენში გარდა ბარათაშვილისა არა ჩანს და ისიც ვერ არის ფართოდ გაშლილი, ფრთა მასაც შეკვეცილი აქვს. ჩვენი მწერლობა, დაწყებული გაზეთ „ცისკრიდან“ „ბოდიშებით“ და „არგეწყინოთი“ იკვლევს გზას, იგი ისე, როგორც უმრავლესობა ჩვენი ხალხისა, თავად-აზნაურულ წრეების მონა-მორჩილი იყო.

გვერდით კი უზარმაზარი რუსეთი გადაგვეჭიმა, რომლის აზრი და მიმართულებაც ხშირად ბრმად და გადაუმუშავებლად გადმოგვქონდა.

შემდეგ კი „ოთხმოცდაათიან“ წლებში ჩვენს ცხოვრებაში ფეხი შემოდგა „მარქსიზმა“ და მან ყოველივე ის უარყოფითი მხარეები განავითარა და განამტკიცა, რითაც იგი დახასიათდებოდა ევროპაში. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ესთეტიური გემოვნების მოდუნებაში ძლიერი დანაშაული მიუძღვის მესამე დასელებს. მათ ისევ ძველი მატერიალისტური მსოფლმხედველობა ასულდგმულებს, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ უკუაგდო; მათი კრიტიკული მეთოდი ხელოვნების დასაფასებლად ისევ ის ძველი უტილიტარისტულ სარგებლიანობითია, რომელიც რუსეთში პისარევმა და ჩვენში კი ან. ფურცელაძემ, გ. მახარაძემ და პირველ ხანებში ივ. გომართელმა განამტკიცეს. პისარევის უტილიტარისტობა და ესთეტიკის წინააღმდეგ გალაშქრება ნ. კ. მიხაილოვსკიმ სამართლიანად „ვანდალიზმად“ მონათლა, და ნუთუ ვანდალიზმი არ არის ის მოვლენა ჩვენში, რომ მახარაძემ „ვეფხის-ტყაოსნის“ წინააღმდეგ გაილაშქრა, მან მოინდომა დანგრევა ისეთი ნაწარმოების, რომელიც თვისი ესთეტიური შემოქმედებით ხიბლავს ადამიანს და აყუჩებს მის მხეცურ ინსტიკტებს.—

რაიმე ერთხელვე აღსარებულ იდეის, მსოფლმხედველობის მონობა ძლიერ ცუდი და მავნებელია, ასეთგვარი პიროვნება ყოველთვის საფთხეშია, იდეის მონობა მას ხშირად სულ საწინააღმდეგოს ჩაადენიებს და უფსკრულში გადაჩეხავს. მართალს იტყოდა იპოლიტ ტენი: „ძლიერ ცუდია, როცა დიდი აზრი პატარა კაცის გონებაში დაისადგურებსო. ეს აფორიზმი ნათლად ახასიათებს ჩვენს დასელებს. მიუხედავათ იმისა, რომ მათ გონებაში დაუსადგურებია დიად იდეას სოციალიზმისას, პრაქტიკულ ნაბიჯებში იგინი უკიდურესი კონსერვატორები არიან. პიროვნება მათ შეზღუდული ყავთ ძლიერი პარტიული დისციპლინით. ასე რომ ჩვენებური დასელი მონაა იდეის და ესევე ავალებს მას მონა იყვეს პარტიისაც. ასეთგვარი მონობის შესახებ ფრიად საგულისხმიერო სიტყვებს სწერს ნ. მიხაილოვსკი: ერთ კამათის დროს, სადაც მას მოყავს მოწინააღმდეგის აზრი, რომ თუ ჩვენ გვინდა გავიგონოთ ნამდვილი სიტყვა, მას იტყვის მხოლოდ სოფლის ხალხი და არა სხვა ვინმეო“ ნ. მიხაილოვსკი სწერს: „თუ გინდათ თქვენ გაიგოთ რას გეტყვისთ სოფლის ხალხი, მაშ უცადეთ მას, მე კი ამ შემთხვევაში დავრჩები უციცი. ჩემ წინ მაგიდაზე სდგას ბიუსტი ბელინსკისა, რომელიც ჩემთვის ძვირფასია, აი „შკაფი“ წიგნებით სავსე, რომელზედაც მე გამითენებია მრავალი ღამე. თუ ჩემს ოთახში შემოვარდება რუსეთის ხალხი მთელი თავისი განსაკუთრებული ყოფა ცხოვრებით, დამიმტვრევს ბელინსკის ბიუსტს და დამიწვავს წიგნებს მე არ დავემორჩილებოდი მაინც არც სოფლის ხალხს; მე ვიბრძოლებ თუ რასაკვირველია, ხელები არ მექნა შებოჭილი. და თუ ჩემზე გადმოვიდა სული სათნოებისა და თავგანწირულებისა, მე მაინც ვეტყოდი მათ: „აპატიე ღმერთო ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისა, რამეთუ არ უწყიან რას იქმნან; მე მაინც ვეწინააღმდეგებოდი, მე თვითონ შემიძლია დავამსხვრიო ბიუსტი ბელინსკისა და დავსწვა წიგნები, თუ ოდესმე მივედი იმ დასკვნამდი, რომ უნდა დავამტვრიო და დავსწვა. ჯერ კი იგინი ძვირფასია ჩემთვის, მე არავის მათ არ დავუთმობ და მთელ ჩემ სულიერ ძალას შევსწირავ მისთვის, რომ ძვირფასი ჩემთვის, ძვირფასივე გახდეს სხვისთვისაც“.

აი, ასეთია აზრი იმ ადამიანისა, რომელიც ცხოვრების მომავალს ძლიერ ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებაზე ამყარებდა.

ჩვენმა დასელებმა კი პიროვნების შეზღუდვა ხელოვნებაშიდაც გადაიტანეს და რამდენიმე მგოსანს პარტიული სალტეები შემოსჭიდეს, მათ აზროვნებას ზედამხედველი მიუჩინეს და წარმოიდგინეთ თქვენ ოცნება მგოსნისა ოთახში დამწყვდეული და ყარაულ მიჩენილი, რა სიძლიერეს გამოიჩენს?!

პიროვნება მხოლოდ შემოქმედებაში შლის თავის თავს დამოუკიდებლად, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ იგი ქონებრივად უზრუნველყოფილი და დამოუკიდებელი იყოს. ხშირად სოციალური სიდუხჭირე ძლიერ ზღუდავს მწერალს, ასეთ გვარმა მწერალმა არ იცის სინაზე სულისა, მშვენიერება ლაღი ოცნებისა, იგი მთლად შავი მიწის ქვეშ იმყოფება, მისი სულისკვეთება ისეთივე ტლანქი და მძიმეა, როგორც ის ბელტი, რომელსაც წელში მოხრილი იგი აბრუნებს. ამ მხრივ საყურადღებოა აღსარება მგოსან „ცახელისა“ (იხ. „ს. ფ.“ სურათებიანი დამატება № 4 1914 წ.)

„ხელის გულთაგან სისხლი მომჩქეფს
წამს მწარ შრომისას,
თითებზე კანი ჩამეკანგვია, ჩამტლანქებია,
ამ გვარი ხელი რომ შეეხოს ჩანგს ელოლისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის დროს ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ მოძღვრებით, თუმცა ხალხი ყურს უგდებდა ამა თუ იმ მქადაგებელთ, მაგრამ იგი თვითონვე ჰკვერავდა თავის სავალ ბილიკებს და რაც დრო გავა, მით უფრო ნათელი და მტკიცე შეიქნება ხალხისათვის ეს თავისდა სასიცოცხლოდ არჩეული გზა. ეს გზა არის ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ აღორძინებისა, ეს გზა არის ჩვენი ერის ქონებრივ-გონებრივად გაღონიერებისა.

ეს გზა, ეს ალლო სიცოცხლისა შეუნიშნავს ბ-ნ დარიანს და რამდენადაც კი შესაძლებელია მოკლე წიგნაკში, ჩინებულადაც გაურკვევია.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას, თუნდა, მაგალითად, ქართველი ხალხის შორეულ მომავლის შესახებ, მაგრამ **სადღეისო** მისი მოთხოვნილებანი, ჩვენებურ პარტიების დახასიათებანი და ყოველდღიური საჭიროებანი ჩვენის ერისა, თითქმის, ზედმიწევნითა აქვს აღნუსხული და გაშუქებული.

როგორც დაკვირვებული და თავის ერის მოყვარული ქართველი, ბ-ნი ავტორი სრულიად მიუდგომლათა და ობიექტიურის თვალსაზრით უყურებს საქართველოს ცხოვრებას.

ავტორი რეალობის, ცხოვრების ნამდვილ გაუმჯობესების მომხრეა. მას არ მოსწონს მეტაფიზიკობა და უტოპიზმი. იგი პირდაპირ უყურებს ცხოვრებას თვალებში და ამ ცხოვრების ფაქტებს უწონავს თავის გულის-ჯქმას. სალსა და ხალხისათვის სასარგებლო მოძღვრებას უჭერს მხარს. ღირსეულად აფასებს ამიტომ ჩვენში მომქმედ პარტიებს და აღნიშნავს მათ მნიშვნელობა-ნაკლულევანებასაც.

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ჩვენი დასელები პირველნი სთვლიან თავის თავს ხალხის მხსნელად, ვინ არ იცის მათი ტრაბახი და გულზვიადობა, მაგრამ იმავე დროს, ვინ არ იცის, რომ გლეხკაცობა, საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობა, მხარს უჭერდა მათ არა **როგორც სოციალდემოკრატებს**, არამედ როგორც რადიკალ-პროგრესისტებს, „ლიბერალებს". მათი პროგრამა „მინიმუმი" — პოლიტიკურ უფლებებზე დამყარებული — ის აუცილებელი ჰაერია ხალხისათვის, ურომლისოდაც სუნთქვა შეუძლებელია. ეს პროგრამა „მინიმუმი" თითქმის ყველასაგან არის მიღებული და არც რაიმე უტოპიას, რაიმე ოცნებას წარმოადგენს. დასელების პროგრამა „მაქსიმუმი" კი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დედა ძარღვი სოციალდემოკრატიულ მოძღვრებისა არც ესმოდათ ჩვენ გლეხებს და ვერ გააგებიებდენ თვით დასელები, თუ ხალხის ჩამოშორება არ უნდოდათ. ასეთი ტრაღიკული მდგომარეობა ჩვენის დასელებისა კარგათ შეუნიშნავს ავტორს (იხ. გვერდი 13—20).

ასევე კარგად აღუნიშნავს ავტორს ჩვენებურ სოციალისტ-ფედერალისტთა მოღვაწეობის უნიადაგობა — გარდა ეროვნულ საკითხისა, რომლის გარკვევაშიც ფედერალისტებს „დიდი ღვაწლი მიუძღვისო".

ავტორი სიამოვნებით ეგებება იმ მოვლენას, რომ დღესდღეობით ისახება ეროვნულ-დემოკრატიული დასი, რომელი დასიც რეალურ გზას ადგებაო.

აგვიწერს რა იმ ევოლიუციას, რომელიც განიცადა ქართველმა ინტელიგენციამ, ავტორს მოჰყავს რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ქართველი ერის გათვითცნობიერებისა და ეკონომიურად წარმოების გზაზე შედგომისა.

რაც შეეხება ქართველ თავად-აზნაურობას, ავტორის აზრით, იგი აღარ არის მთლიანი წოდება; იგი ითქვიფება და მალეც გაითქვიფება ქართულ მასაში და არავითარ „ხალხის მტერს" აღარ წარმოადგენსო.

დასასრულ, ავტორი მოითხოვს ქართველებისათვის სრულ უფლებებს, რომ მან თავისი ეროვნული დანიშნულება შეასრულოსო.

ჩვენ განგებ არ მოგვყავს ამ წიგნაკის დაწვრილებითი შინაარსი. დაე, მკითხველმა შეიძინოს ეს წიგნაკი და თავისით შეაფასოს ავტორის საყურადღებო მოსაზრებანი.

წიგნაკის ნაკლია მრავალი კორექტურული შეცდომა და ადგილ-ადგილ სქემატიური, ძალზე მოკლე განმარტება ამა თუ იმ დებულებისა.

ვინც იცნობს ქართველ ხალხს და მის სადღეისო გულისტკივილს, იმისათვის ადვილი გასაგებია ავტორის აზრი, მაგრამ ბევრს ჩვენებურ დასელს ასე მოკლეთ გამოთქმული აზრი სადაო მასალას მისცემს...

წიგნაკი სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთი აბაზი.

კარგს ინებებს ავტორი, რომ ეს წიგნაკი ქართულადაც სთარგმნოს.

მკითხველი.

ხელის მომწერთა

# საყურადღებოთ.

დღიდან ჩვენი გაზეთის „იმერეთის„ გამოსვლისა, ზოგიერთ ხელის მომწერს გაზეთის ფული არ გამოუგზავნია, გაზეთი კი შეუწყვეტლათ ეგზავნება, მიუხედავათ იმისა, რომ ფულის შემოტანა რამდენჯერმე გამოცხადებული გვქონდა. ახლა უკანასკნელათ ვაცნობებთ მათ ვისაც ჩვენი გაზეთი 6 მარტიდან მისდისთ თუ ძველს არ წარმოადგენენ,

**გაზეთის გზავნას შევსწყვეტთ დღეიდან 15 ივლისიდან.**

# რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გრიგოლ რასპუტინს მიუღია თანაგრძნობის დეპეში შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ა. მაკლაკოვისა, საგარეო საქმეთა მინისტრის ს. დ. საზონოვისა, და სხვა წარჩინებულ პირთაგან. რასპუტინთან დაახლოებული პირნი გადმოგვცემენ, რომ მორჩენის შემდეგ „მოხუცს" განზრახვა აქვს ნაბიჯი გადასდგას გუსევას რომელმაც მისი მოკვლა განიზრახა, მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

**თანაგრძნობა.**

ბაქოში გაფიცულ მუშათა თანაგრძნობის ნიშნათ გაიფიცენ არტერ კოპელის ფირმის მუშებიც.

გაიფიცენ აგრეთვე ბიბი-ეიბათის „ელექტრონულნ ძალის" სადგურის მუშებიც. ორი დღით გაიფიცა 600 მუშა კასპიის ქარხნისა.

ლიანოზოვის ქარხანაში შეწყვეტილია გაფიცულ მუშებისთვის წყლის მიცემა; ამის საპასუხოთ მუშებმა შეწყვიტეს ადმინისტრაციის ქარხნისთვის ელექტრონის ენერგიის მიცემა.

**შავი ჭირი.**

ციმბირის გუბერნიაში გაჩნდენ მრავალი ჭირის გამავრცელებელი „სუსლიკები". მიღებულია ზომები მათ მოსასპობათ.

ვინიცაში (პოდ. გუბ.) დღემდი ავათ გამხდარა ხოლერით 213 კ., გარდაცვლილა 49. ხარკოვში ექვი მიიტანეს ორზე, რომელიც ხოლერით უნდა იყვენ ავათ. ერთი უკვე გადაიცვალა.

ვოლოგდაში 7 ივნისს გაჩნდა ციმბირის შავი ჭირი. პირველ ივლის ავათ გახდა 500 კაცი, რომელთაგანაც ნახევარი გადაიცვალა. ვოლოგდის მაზრაში ავათგახდა 30 კაცი, და ამოწყდა 30-მდი თავი საქონელი. ტვერის გუბერნიაში ჭირი გავრცელებულია ბეჟეცკისა, კალიაზინისა, კორჩევსკისა, ვესიეგონსკისა, ზუბცოვისა, ვიშნევოლცისა, სტარიკისა და ტვერის მაზრებში.

ჭირი გავრცელებულია აგრეთვე კალუგისა, კოსტრომისა და რიაზანის გუბერნიებში.

**გაფიცვები შიდა რუსეთში.**

რიგაში გაფიცულია რუს-ბალტიის ვაგონის ქარხანაში - 2,800 კაცი რიხარდის ქარხანაში — 800 კაცი როზენკრანცის ქარხანაში — 300, „სალამანდრას" ქარხანაში — 1,200 კაცი სტარრას ქ-ში — 260. გაფიცული არიან „ფენიკსი", „უნიონი" და სხვ. სახერხავი ქარხნები. სულ გაფიცულია 18,000 მუშა. რუს-ბალტიის ქარხანაში შეიპყრეს 6 მუშა.

**ხარკოვი:** აქაური ქარხნები გაფიცვებს განაგრძობენ. არიან დაჭრილნი.

**ეკატერინოდარი:** ბაქოსა და პეტერბურგელ მუშათა თანაგრძნობის ნიშნად გაიფიცენ ერთი დღით 6,000 მუშა ადგილობრივ ქარხნებისა და სტამბებისა. იმ დღეს გაზეთები არ გამოსულან.

**ოდესა:** გაფიცვებია აგრეთვე ოდესაში. სტამბის ინსპექტორმა ბ. პლაქსინმა დღეს ინახულა ყველა ადგილობრივი გაზეთების რედაქციები და გრადონაჩალნიკის სახელით დაემუქრა რედაკტორებს ჯარიმებით, თუ ეს უკანასკნელნი „ფრთხილად არ მოეპყრობიან სატახტო ქალაქის გაზეთების ცნობებს გაფიცვების შესახებ და თუ საზოგადოთ თავდაჭერილობას არ გამოიჩენენ მომხდარ ამბავთა შეფასებაში".

**ებრაელების გადასახლება.**

მოტავაში ებრაელთა გადასახლება არ შეწყვეტილა. ბერ ებრაელებს ასახლებენ ლიბავიდან და გრივიდან: წარსულ კვირას აქიდან გადაასახლეს 20-მდი ებრაელთა ოჯახი; მათ შორის გადასახლებულია რაბინი ოლშვანგი. გადასახლების მიზეზათ ასახელებენ — უკანონო სახელოსნო მოწმობებს, რომლის ძალითაც გადასახლებულნი სარგებლობდენ გუბერნიაში მოსახლეობის უფლებით.

კიევში გადასახლებულმა ებრაელებმა მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. ა. მაკლაკოვს შუამდგომლობით, რათა გადასახლება შეეჩერებინა იმ დრომდი, ვიდრე სენატი არსებითად არ გაარჩევს მათ საჩივრებს.

**ბანკის გაძარცვა.**

პროსკუროვი. (პოდ. გუბ.). როგორც „რ. ს"-ვო იუწყება. გაძარცვეს ადგილობრივი ბანკი, საიდანაც გატანილია 40,000 მ. შეპყრობილია ვერტელინის ბანკის კასირი, რომლის ბინასაც, როგორც თვით ირწმუნება, დასცემიან მძარცველები და გაუტანიათ კასის გასაღები.

# საქართველო.

(კ. ბალმონტიდან)

მო, მაკოცე ქართლის ქალო! აჰა ჩემი აღსარება:
შენი ხვევნა — მალამოა, შენი კოცნა — ნეტარება...
მითხარ, მითხარ, რა ძალა აქვს მაგ შენს გრძნეულ ხმათა ჟღერას;
რა ძალა აქვს მაგ შენს წარმტაც, ცეცხლებრ მგზნებარ შავ-თვალთ მზერას?
მხიბლავს შენში ეგ სიმარდე რაშ-ტაიჭის და ვეფხვ-შვლისა:
ბეჭედი აჩნს ყოველივეს, ღრმა ბეჭედი სისრულისა!

—

შექმნის წუთში უზენაესს თვის განზრახვა სრულ უყვია:
ვით ლერწამი, მას სალი-კლდე მოუდრეკავს, მოუხრია
და მყინვარის — მძლე ყაზბეგის — აღუმართავს დიდი მთები.
მაღლა თოვლნი კაშკაშობენ, ძირს ყვავიან ყვავილები.
ღმერთს დაეძებ? მაღლა ადი, — გამოისხი ფრთები ქარის,
არწივისა აღმაფრენით ამაღლდი, — და... ის იქ არის.
უფსკრულის თავს ზე — დაბრწყინავს მუნ სიმაღლე საოცარი:
მწვერვალთ შორის თეთრადა კრთის უხილავათ მუნ ტაძარი...
აქ ჯადოსნობს ნაპრალებში ღრმა წარწერა ყურანისა. —
როს ძირს სძინავთ, აქ გარიჟრაჟს მოსჩანს ღიმი დახრილ მზისა...
მზერს მყინვარი. — და მის ფეხქვეშ სძინავს ვაკეს, სძინავს მდელოს,
სძინავს, სძინავს ქვეშ ნათელას, მას — კურთხეულ საქართველოს, —
მას, რომელმანც ზენა-სწრაფვა თვის სამშობლო მაღალ მთების
თვით აქცია საკუთრებათ სტუმრად მოსულ ბარელების,
რომ მათ მინდორ-ვაკიან და უდაბურსა ქვეყანაში, —
— თუმც დიადს, ვით მოზვავებულ წყალთ გუგუნი მქუხარ ზღვაში, —
მძლე დარაჯად მისაყრდნობი იგი — ზღუდე მათ ჰქონოდა,
რომ მძლე ქედი უსახურ გველს, ძლიერს, თეთრად აღმართოდა!
მაგრამ გველი ორგვარია: გველი წმიდა, უშხამური
და, აგრეთვე, **გველ-ძუა**, — გულში უდევს მტრობა — შური...
ეს ქურდულათ იკბინება, ეს ქურდულათ გიჭერს მახით!
დე, ნუ მალავს ჯადოარი ქვე-მძრომობას კოცნის სახით!!.

—

ცოცხალია საქართველო, ცოცხლობდა და კვლავ იცოცხლებს!
ამას მღერის თვით არაგვი, თერგიც ამას იმეორებს;
ამასვე კვლავ გვამცნობენ კავკასიის მძლავრი მთები...
მესმის, მესმის, დიახ, მესმის უეჭველი ეს სიტყვები! —
ისინი-კი, ვისი გულიც ფლიდურათ გრძნობს, შხამს ღვრის მწარეს,
ღვარძლივით რათ ესევიან მტრობით ბრმანი მხიბლავ მხარეს, —
სად ღირსია ყველაფერი **თანაგრძნობა — ყურადღების**,
სად ცხოვრება ადამიანთ ოცნებითა ცისკროვნდების?!
ვინც რომ შედის ღვთის ტაძარში, დეე, გრძნობდეს მოწიწებას!
კრძალვა გმართებსთ ტაძრად შემსვლელთ, კრძალვით შეხვდით მის შვენებას!
აწ აღმითქვამს — დაიხსომეთ ეს მარტივი დებულება: —
დიდებულსა კვლავაც შვენის დიდებული ყურადღება!
თუ თხემი სთვლემს თოვლიანი, მან თამაშიც იცის მთებში —
თამაშიცა ელვა — ჭექით თვის უკუნით ნაპრალებში!
თავდადების თქმულებანი ჯვრის რაინდებს — გეტყვით ფიცით:
ჩაუმარხავთ მაგრათ გულში, ჩაუმარხავთ მთელის სივრცით, —
და მათ პირველთ უმღერიათ, რომ მყინვარი თვისდა ფარად
ტყულა როდი მოუწოდებს ჭექა-ქუხილს აწ და მარად... *)

ქუთაისი, 10—7.

სევ. მუხრაძე.

*) ვისარგებლე „თემის" პროზაული თარგმანით.

მ. ხ.

პოეზიისთვის, აბა მითხარ, რა საქმეა!
ან სად მაქვს მოცლა, რომ ვიაზრო, მივეცე ფიქრებს,
ნიავს ფოთლებში მოჩურჩულეს, წინ შევეყარო,
მზის სხივს შევსძახო, ნუ ღებავთქო ჰაერის ზვირთებს,
ზღვას ყური ვუგდო, დავუკვირდე რას ამბობს წყარო?!.

მათთან მუსაიფს ნაჩვევია მგოსანი ლადი"...

სულიერი შემოქმედება ბურჟუაზიული კლასისა ჩვენთვის ძვირფასია, ეს შემოქმედება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ აქ პიროვნება უფრო დამოუკიდებელია და ძლიერი, იგი ფართოდ შლის თავის პიროვნებას. და განა შემოქმედება ისეთი დიადი პირებისა, რომელიც ბურჟუაზიულ წრეს ეკუთნოდენ: ოსკარ უალდი, ბაირონი, შელლი, ბოდლერი, ტეოფილ გოტიე, რუსთველი და ბარათაშვილი ღირსშესანიშნავნი და მიუწდომელნი არ არიან?! ყველა იგინი მძლავრად შლიან თავიანთ ინდივიდუალობას. გვიხატვენ ღრმა, მგრძნობიარე და ნაზ სულიერ ვითარებას; რომელიც მოკლებულია ამ ქვეყნიურ ვიწრო სარგებლობას; ეს არის ჰანგი ირაციონალურ საკითხების გაღრმავებისა და აყვავებისა და ამიტომ ძლიერ შემცდარნი არიან ის პირნი, ვინც ვიწრო უტილიტარული მეთოდით მიდიან ხელოვნებასთან და სურთ იგი ამ ქვეყნიურ რაციონალურს და პარტიულ ფარგლებში ჩაკლან. ჩვენ ვებრძვით ბურჟუაზიის სულიერ შემოქმედებას კი არა, არამედ უსამართლობას, რომლის ძალითაც უმრავლესობა ვერ არის უზრუნველყოფილი, ვერ არის მათი პიროვნება დაცული და ღრმად განვითარებული.

ჩვენში ხშირად აღნიშნვენ ხოლმე, როგორც სასიამოვნო მოვლენას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ შეითვისა ცალმხრივი შეხედულება პოეზიაზე „ხელოვნება ხელოვნებისთვის", რომელიც ევროპასა და რუსეთში იყო გამეფებული. მაგრამ უნდა ვსთქვათ, ეს მოვლენა ჩვენთვის გასახარელი არ არის; ჩვენ უარვყავით იგი შეგნებულათ კი არა, არამე სრულიად შეუგნებლად და აუწონელად; ამით მხოლოდ ჩვენი ჩამორჩენა დავამტკიცეთ. დავამტკიცეთ ის, რომ ჩვენში სულიერი ძალა ჯერ კიდევ ახალ მშობიარობაშია, იგი ჯერ კიდევ ვერ სცილდება ხელშესახებ საგანთა სამეფოს, ჩვენი სულიერი ძალა მთლად სინამდვილის ძლიერ კლანჭებში იმყოფებოდა; მან არ იცოდა სილაღე სულისა, რომელიც უნდა სწვდებოდეს ყოველივე ინტიმიურ კუნჭულებს ადამიანის ფსიხიკისას. ჩვენ მხოლოდ ტლანქ სინამდვილეს ვიცნობდით და მისი გაფაქიზება და მოხეშა შეუძლებელათ მიგვაჩნდა.

ხალხი ყოველთვის ცდილობს, რომ პიროვნებას მძიმე უღელი დაადვას, მას უნდა, რომ მწერალმა მის კეთილდღეობისთვის იზრუნოს, იგი სავსეა "კაპრიზებით". მაგრამ ნამდვილი ხელოვანი ხალხის მუდარას ყურს ვერ ათხოვებს, იგი მაღლა უნდა იდგეს ხალხის „კაპრიზებზე". დიაღ! შეზღუდულ პიროვნებას არ შეუძლია შექმნას რაიმე დიადი ესთეტიური ნაწარმოები. მას შექმნის მხოლოდ **პიროვნება ძლიერი, ოცნება თავისუფალი, ნება უტეხი და ლტოლვა განუსაზღვრელი.** ხალხის თვალსაზრისი მხოლოდ-და ვიწრო სარგებლიანობითია, და ამიტომ იგი ძლიერ დაშორებულია ესთეტიურ ნაწარმოების დაფასებას; ვიტყვი მეტსაც, ის ფაქტი რომ „სინათლეს" ასეთი ენტუზიაზმით მიეგება ხალხი, ამტკიცებს მას, რომ ეს ნაწარმოები მოკლებულია ნამდვილ ესთეტიურ ღირებულობას. ესთეტიურსა და დიად ხელოვნურ ნაწარმოებს ხალხი ყოველთვის მორცხვათ და მორიდებით ეკიდება. ამისი მაგალითებით სავსეა მსოფლიო ლიტერატურა: მაგ. შექსპირი, როდენი, ვილე დე-ლილ-ადანი (საფრანგეთის მწერალი 1838—1889 წ.) ჩვენში კი ნიკ. ბარათაშვილი (კრიტიკა ანტ. ფურცელაძისა „ქერელ ბექას" პსევდონიმით). დღეს ჩვენი სულიერი ძალა პიროვნების გაშლისკენ უნდა იყოს მიპყრობილი. პიროვნება მაშინ გაშლის ფრთას, როცა ძირიანად შეიცვლება თანამედროვე სოციალური წესწყობილება და ერი იქნება აღსარებული როგორც დამოუკიდებელი და დიადი ღირებულობის მატარებელ პიროვნებათ.

ჩვენ დღეს ერთი მძლავრი ხელით უნდა ვამსხვრევდეთ თანამედროვე დახავსებულ სოციალურ წყობილების კედლებს, მეორეთი კი გზას ვიკვლევდეთ, რომ ჩვენსავე ნამტრევებ ქვეშ არ მოვექცეთ. ჩვენ უნდა ვემსახუროთ საზოგადოებას არა ჩვენი პიროვნების უარყოფით, არამედ მისი განმტკიცებით და გაფართოებით.

მიხ. აბრამიშვილი.

P. S. ამ შესავალ წერილში „სინათლეს" არსებითად არ შევეხები, მხოლოდ ვაყენებ თეზისს, რომელსაც შემდეგ დავასაბუთებ, როცა გრ. რობაქიძის ლექცია დაიბეჭდება.

(თეზისი) „გედევანიშვილის პიესა „სინათლე" არ არის „ინდივიდუალური ნაყოფი, ინდივიდუალურ ტემპერამენტისა", არამედ მასში ღრადიციით განმტკიცებული მონური სული ტრიალებს".

მიხ. აბრამიშვილი.

# უცხოეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**მუქარა ულტიმატუმით.**

ვენა. „ნევე ფრ. პრ"-ს ცნობით, ავსტრიის ნოტა მოსთხოვს სერბიას — გამოძიება მოახდინოს სერბიის ტერიტორიაზე და აგრეთვე მოსთხოვს გარანტიას, რომ ეს გამოძიება ფიქტიური არ იქნება. გარდა ამისა, ნოტა მოსთხოვს დამნაშავეთა გაცემას და აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები ველიკოსერბიის პროპაგანდის წინააღმდეგ შიდა საზღვრებში და გამოცვლილ იქნას სერბიის პოლიტიკური კურსი. ნოტას ექნება, თითქოს, ულტიმატუმის ხასიათი — პასუხი იქნეს მიღებული 48 საათის განმავლობაში. „ცეიტის" დარწმუნებით — ავსტრიის ნოტის ხასიათი გულისხმობს დავის მშვიდობიანათ გადაწყვეტას.

ბერლინი. „ბერლ. ტაგებ." ირწმუნება: ავსტრიამ გადასწყვიტა მოსთხოვოს სერბიას 48 საათის განმავლობაში გარანტია შეწყვეტილ იქნას ტერიტორიაზე ველიკოსერბიის აგიტაცია და დაუყონებლივ მისცენ პასუხისგებაში ის პირნი, რომლებზედაც მიუთითებს ავსტრია. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა უარყოფილი იქნა, აუცილებელია შეიარაღებული შეჯახება.

**სერბიის გადაწყვეტილება.**

ირკვევა, რომ მდგომარეობა ავსტროსერბიის კონფლიქტისა, მართლაც, სერიოზულია, ვინაიდან ბელგრადში გადაწყვიტეს შეუძლებლათ იცნონ ავსტრიის ნოტა, დამოუკიდებლათ იმისა, რაგვარ მოთხოვნებსაც არ უნდა შეიცავდეს ეს ნოტა. თვალთახედვის ისარი სერბიისა ასეთია, რომ ავსტრიას არა აქვს უფლება წარუდგინოს მას რისამე მოთხოვნები, რომელსაც რაიმე კავშირი ექნება ჰერცჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის მკვლელობასთან, და ამიტომ, როგორიც არ უნდა იყვეს ავსტრიის ნოტა, სერბიის მთავრობა უარს იტყვის მის მიღებაზე.

ლონდონი. ბუკანჰემის სასახლის კონფერენციამ შეთანხმებას ვერ მიაღწია. მი-

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჭიბის დანები, პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეკო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეკო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფსალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ნისტრთა საბჭო ახლანდელ მდგომარეობის გამო თათბირობს.

პეტერბურგის „სადღეგრძელოების" შესახებ გაზეთი „ტაიმსი" ამბობს, რომ პუანკარეს სტუმრობა პეტერბურგში სწორედ კარგი დროისაა. ამჟამათ, როდესაც დუნაიზე მუქარის გაცვლა-გამოცვლა ხდება, ავსტრიის მოკავშირენი თავიანთ ინტერესების გამო იძულებულნი ხდებიან წარუდგინონ მას მოთხოვნილება ზომიერებისა; ამ დროს სამთა სახელმწიფოთა შეთანხმების მიზანია აიძულოს სერბია სამართლიანსა და ზომიერ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს.

ქვედა პალატამ მესამე კითხვის შემდეგ მიიღო საფინანსო ბილი.

ქ-ნ კაიოს პროცესი.

ქ-ნი გეიდანმა ლაბორის წერილები გადასცა, რომელმაც განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულებს მათი გაცნობის საშუალება მიეცემათო. ქოზეფ კაიო უერთდება ლაბორის სიტყვებს, მადლობას უძღვნის ქ-ნ გეიდანს და აცხადებს, რადგან ინციდენტი წერილებისა დამხინჯებულია, მისმა მეუღლემ მოისურვა გამოქვეყნება.

## პასუხათ ბ. ალექსანდრე ჩხეიძეს.

გაზ. „აზრი"ს 87-ე №-ში თქვენ შეკითხვას აძლევთ, ბ. ჩხეიძე, დიმის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას იმის შესახებ, თუ რატომ არ მიგიღეს წევრათ ზემოხსენებულ ამხანაგობაში. ამაზე შემდეგს პასუხს გაძლევთ: კანონის ძალით, ამხანაგობაში ვისიმე წევრათ მიღებას სწყვეტს გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ კრებაზე ყოველივე მიზეზი, თუ სხვა რაიმე, რაიცა წარმოითქმება ამ კრებაზე, არის საიდუმლო, რომლის გამჟღავნება არათუ პრესსის საშუალებით, არამედ დაინტერესებულ პირთანაც არ შეიძლება. ამიტომ თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებთ, თუ რამეზე გული გწყდებათ, შეგიძლიათ წვრილ კრედიტის წესდების § 109 ლიტ. ვ. ძალით საჩივარი განაცხადოთ გამგეობასა და საბჭოზე საზოგადო კრებაზე.

პრესსა ჩვენთვისაც არსებობს, მხოლოდ არა სხვების ლანძღვა-გინებისათვის.

გაზ. „აზრ"ში ამ პასუხს არა ვბეჭდავთ, წინაამდეგ თქვენი თხოვნისა, რადგანაც „აზრის" რედაქციაზე ჩვენ ნდობა დავკარგეთ.

იმედია, ამ მოკლე პასუხზე არ გაგვიჯავრდებით; ჩვენც კი, მართალი მოგახსენოთ, საკამათოდ არა გვცალიან.

დიმის საკრედ. ამხ. გამგეობის წევრნი: **დეკ. მ. მაჩიტაძე, გ. ჩხეიძე, ი. ხარაბაძე.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ჩხარი** (ზემო იმერეთი). რომ იტყვიან „გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო", სწორეთ ასე მოუვიდა აქაურ მცხოვრებლებს. ჯერ ისიც საკმარისი იყო, თუ რა უბედურობასა და ენით აუწერელს მდგომარეობას განიცდიდენ აქაური მცხოვრებლები და ახლა კიდევ, ჩვენდა სამწუხაროთ, სულ მიწასთან გაათანასწორა და საშინელს ტრაგიკულს მდგომარეობაში ჩააგდო უმეტესობა ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ. რვა ამა თვეს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის ორ საათზე, ვიღაც გათახსირებული, ზნეობრივათ გახრწნილი ვაჟბატონების წყალობით, მთელი დ. ჩხარი ცეცხლის ალში გაეხვია. შეიქნა საშინელი წივილკივილი მცხოვრებლების, გამოცვინდენ ყველანი ქუჩაში, მაგრამ გვიანღა იყო, ვეღარაფერს უშველეს; ცეცხლი იმდენად იყო გაძლიერებული, რომ ვეღარც ცეცხლის მქრობელი მანქანით და ვეღარც სხვა საშუალებით ვეღარ ჩააქრეს. ცეცხლი ერთი ქუჩიდან მეორეზე გადვიდა. ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას ზედ დაერთო სტიქიონის საშინელი სიმკაცრე; შეიქნა უცბად მშრალი უწვიმოთ ელვაჭექა რაც ძალიან ხელს უშლიდა ხალხს ცეცხლის ჩაქრობაზე. ელვა-ჭექა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ იმდენად სასტიკი იყო იგი, რომ ხალხი შიშმა შეიპყრო და უგზო-უკვლოდ აქით-იქით გარბოდენ... სულ გადამწვარია 32 საუკეთესო დუქანი და ოთხი ორ-ორ სართულიანი საუკეთესოდ მოწყობილი ქვის სახლი. თან გადიწვა წვრილი ნდობის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის შენობა, რომელშიდაც მოთავსებული იყო უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო. ზარალი (200,000) ორასს ათასს მანეთს აღემატება. მცხოვრებლები უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან. დროა, ყველა შეეწიოთ, ვისაც რითაც შეგვეძლებათ.

ახლა ქვევით, არ შეიძლება, ვინც ღრმად ჩაუკვირდება ამ საცოდავი, გახრეკილი დაბის მდგომარეობას, ცნობის მოყვარეობამ არ გაიტაცოს და განცვიფრებით არ იკითხოს ერთი რამ: როგორც სხვაგან, ისე აქაც ერთობ ბევრია ქუჩა-ქუჩა უსაქმოდ მოხეტიალე ვაჟბატონი, რომლებიც მუდამ დღე ქეიფობენ, კაის იცმენ, კაის იხურვენ და ამავე დროს კი არავინ ეკითხება მასს, თუ საიდან შოულობენ იგინი ამდენ ფულს?! ნეტავი ვიცოდეთ, რაა მიზეზი, რომ ვისიც ჯერ არს სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათს ასეთს ავანტიურულ მოქმედებას?!! დროა, დრო, ბატონებო, სერიოზულად ხელი მოვკიდოთ საქმეს, ხალხის დახმარებით ერთხელ და სამუდ ამოთ აილაგმოს ასეთი გახრწნილი ვაჟბატონების საქციელი, თორემ იცოდეთ, კიდევ უარესი მოელისთ საცოდავ უდანაშაულო მცხოვრებლებს, და დღევანდელივით თითზე კბენანი გვიანღა იქნება!!.

ი. მერულისშვილი.

**საღოლმანავი.** ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზე. სოფელი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ საშუალებას: გვაქვს ერთადერთი ერთკლასიანი სამრევლო შკოლა. რომელიც ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას.

შკოლის შენობა უვარგისია: არ აქვს არც ფანჯრები და არც კარები რიგიანათ მოწყობილი რის გამოც ცუდ ამინდში ბავშები და მასწავლებელიც ავათ ხდებიან.

რაც შეეხება ჩვენს გზებს სათქმელიც არ არის. ღმერთმა დაგიფაროსთ ავდრიან დღეში აქითკენ მოგზაურობა გინდა ცხენით და გინდა ურმით. ისეთი ლაფები დგება, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მიმოსვლა.

ამ ნაკლულოვანებას თან ერთვის ქურდბაცაცების გამრავლება. ოთხს ამ თვეს ღამით თერთმეტი საათი იქნებოდა ვიღაც ბოროტგამზრახველები, თორმეტი შეიარაღებული კაცი, თავს დაესხენ მღვდელს ალექსანდრე მებურიშვილს, ააწიოკეს მთელი ოჯახი წაიღეს ორი ოქროს საათი, ვერცხლის თორმეტი კოვზი, ბეჭდები სულ ოთხასი მანეთის ნივთები და ერთი თუმანი ფული და ალხეინად გაუდგენ გზას. მეორე დღეს ადგილობრივი ბოქაული შეუდგა ქურდ-ბაცაცების ძებნას. საბრალო ქალი შიშზე ლოგინში არის ჩავარდნილი.

როდის მოეღება ბოლო ამისთანა უკუღმართობას, არ ვიცით.

მასწავლებელი ქალი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ბ.ბ. მომღერალ ამხანაგებთ ქ-ნნ ნ. დ. ქიქოძისა, დ. კეჟერაძის ასულს, პ. დ. გამყრელიძესა და კ. გუგუნავას, ჩვენ მიერ კონცერტის გამართვის დროს დახმარებისა გამო ქ. ბათომში, რომლითაც შემიწყვეს ხელი განვეგრძნო მოგზაურობა სხვადასხვა დაბა-ქალაქებში.

დასავლეთ ქართულ ხალხურ მომღერალთა გუნდის ლოტბარი მ. ღოღუა.

გთხოვთ უმორჩილესად, ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს სოფელ ბანძის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ. აქვე მოგვყავს სია შემომწირველთა. კონსტანტინე დავითის ძე გაბუნიამ მთელის წლით გამოუწერა გაზეთი იმერეთი, ფულათ ანდრია ლ. ქავთარაძემ აოი მანეთი. სამ სამი მანეთი—ი. ქადეიშვილმა, დ. ლამბაროვმა, და პ. თოფურიძემ, ორორი მანეთი—ა. ხოჭოლავამ, ი. ალხაზოვმა, ს. ჭოჭუამ, თითო მანეთი ს. კაუხჩოვმა, ფ. კლდიაშვილმა, მ. კალანდარიშვილმა, გ. ხუზიამ, ნ. ბარამიძემ, დ. პოდდუბნიმ, კ. იოსელიანმა, ს. ბეთანოვმა, გ. ავგერონოვმა, პ. იმნაძემ, მ. უნვიაძემ, ს. ხოშთარიამ, გ. ნიკოლაიშვილმა და კ. ხუბუამ.

სამკითხველოს გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები




ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).
ა. თაბაკარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

**ფასები ძლიერ დაკლებულია.**

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| **ბათომს:** | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| **ფოთს:** | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| **შორაპანს:** | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| **ბათომიდან:** | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| **ფოთიდან:** | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| **შორაპნიდან:** | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| **ტყიბულიდან:** | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი"
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**